ბრძანება:**ბ76. 76230966**
თარიღი:**06/04/2023**

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფის შექმნისა და მისი შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი წარმოადგენს კარგი მმართველობის განხორციელების ერთერთ წინაპირობას. ის ხელს უწყობს ინკლუზიურ დემოკრატიას, იწვევს საჯარო სექტორის მოდერნიზაციას, თვითმმართველობის ორგანოების ანგარიშვალდებულებების ზრდას, წარმოადგენს მუნიციპალიტეტსა და მოსახლეობას შორის დემოკრატიული დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტიან საშუალებას.

ამბროალურის მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს ბიუჯეტის შედგენის, მისი განხილვის და დამტკიცების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით სასურველია გამოყენებული იქნეს როგორც არსებული, კანონისმიერი მექანიზმები, ასევე დიალოგის და თანამონაწილეობის ახალი, ინოვაციური ფორმები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54 ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 54-ე მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას მონაწილეობითი ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1.1. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - **დავით გოგლიძე** - მერის პირველი მოადგილე.

1.2 სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე - ბეჟან კობახიძე - მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი.

1.3.გიორგი გოძიაშვილი - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი- ***სამუშაო ჯგუფის წევრი.***

1.4.ერეკლე დოხნაძე - მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი - ***სამუშაო ჯგუფის წევრი.***

1.5 თამარ ქევანაშვილი -მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - ***სამუშაო ჯგუფის წევრი.***

1.6. კახაბერ ნეფარიძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი-***სამუშაო ჯგუფის წევრი.***

1.7 ირმა ფრუიძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე - ***სამუშაო ჯგუფის წევრი.***

1.8 ეკატერინე ლაშხი - მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის კეთილმოწყობის განყოფილების ხელმძღვანელი-***სამუშაო ჯგუფის წევრი.***

1.9. მარიკა დვალი - მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი-***სამუშაო ჯგუფის წევრი.***

1.10 მიხეილ დალაქიშვილი - მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი **- *სამუშაო ჯგუფის წევრი.***

1.11 მანანა გოგობერიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი; მერიაში გენდერზე პასუხისმგებელ პირი - ***სამუშაო ჯგუფის წევრი.***

1.12. ბაქარ ბაკურაძე - საკრებულოს წევრი - ***სამუშაო ჯგუფის წევრი.***

1.13 ელიზბარ კობახიძე - საკრებულოს წევრი - ***სამუშაო ჯგუფის წევრი.***

1.14 ირაკლი კობახიძე - მერიის საფინანსო სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **- *სამუშაო ჯგუფის წევრი.***

1.15 ირინა კერესელიძე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი - ***სამუშაო ჯგუფის წევრი.***

2. სამუშაო ჯგუფის ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობასა და თვითმმართველობას შორის ღია დიალოგის ხელშეწყობა, თვითმმართველობის პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ზრდა, საბიუჯეტო პროცესში მოსახლეობის ჩართულობის ზრდა, პრიორიტეტის შერჩევაში მონაწილეობა, საბიუჯეტოო პროგრამების და ქვეპროგრამის თაობაზე წინადადებისა და მოსაზრებების წარმოდგენა.

3. ეთხოვოს საკრებულოს წევრებს და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმოამდგენელს სამუშაო ჯგუფის სხდომებში მონაწილეობა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში. (ქ.ამბროლაური კოსტავას ქ. №13)

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერიდან.

ზვიადი მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი